ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერალიტიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის ივლისის 15.	№ 13 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 161. სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ.

162. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

163. „რაიონებთან კავშირის განმტკიცების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

161. სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. რადგანაც, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ“ 1931 წ. მაისის 9-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 28 №-ი, მუხ. 221), საჭიროა, სტატისტიკისა და აღნუსხვის გაუმჯობესების მიზნით, გაძლიერებულ იქნეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცენტრალიზებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობა ა/კსფსრ სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოების მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციის სფეროში (უწყებათა და საწარმოთა ოპერატიულ და სამეურნეო მოქმედებაში ადმინისტრატიულად ჩარევის გარეშე) და, ამასთან ერთად, რათა განმტკიცებულ იქნეს უწყებათა და საწარმოთა სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოები,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღნუსხვისა და სტატისტიკის მთელი საქმის ხელმძღვანელი ორგანო არის ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია თავისი სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სექტორის ხაზით, რომელიც მუშაობს დამოუკიდებელი სამმართველოს უფლებით.

2. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია აღნუსხვისა და სტატისტიკის სფეროში განახორციელებს შემდეგ ამოცანებს:

ა) შეასრულებს დამოუკიდებლად საერთო-სამეურნეო და სადარგთაშორისო ხასიათის სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოებს და აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სამუშაოებს (აღწერა, მონოგრაფიები და სხვ.);

ბ) შეადგენს სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოების საერთო-საამიერკავკასიო გეგმას და მოათავსებს მასში სადარგო და სახალხო-სამეურნეო დაგეგმისათვის საჭირო ყველა იმ სამუშაოს, რასაც ასრულებენ ა/კსფსრ ცალკეული უწყებები და ორგანიზაციები;

გ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს აღნუსხვის მაჩვენებელთა სისტემას მთლად სახალხო მეურნეობისათვის სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის პირობების შესაბამისად;

დ) განიხილავს და დაამტკიცებს საერთო-საამიერკავკასიო უწყებებისა და ორგანიზაციების ყველა იმ სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოს პროგრამებს და ფორმებს (მაჩვენებლები, ანგარიშგება, დამუშავების სისტემა, გამოანგარიშების მეთოდოლოგია და სხვ.), რაც მოთავსებულია საერთო-საამიერკავკასიო გეგმაში;

ე) მოაწყობს კონტროლს სასტატისტიკო სამუშაოთა მდგომარეობისა და აღსრულებისათვის ა/კსფსრ უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში;

ვ) შეამოწმებს არსებითად უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასტატისტიკო სამუშაოებს;

ზ) შეადგენს აღნუსხვის მექანიზაციის გეგმას.

ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის (სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სექტორის) დადგენილებანი აღნუსხვისა და სტატისტიკის საკითხების შესახებ სავალდებულოა ყველა უწყებისა და ორგანიზაციისათვის.

3. სახალხო კომისარიატებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში აღნუსხვისა და სტატისტიკის განმტკიცებისათვის მათ შედგენილობაში მოეწყობა აღნუსხვისა და სტატისტიკის სპეციალური სექტორები.

4. უწყებების სააღნუსხვო-სასტატისტიკო ფუნქციები გაძლიერებულ უნდა იქნეს. ამისათვის სასტატისტიკო სამუშაოები გარდანაწილებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებსა და უწყებებს შორის და თავი მოეყაროს უწყებებში მათი ოპერატიული და სამეურნეო მოქმედებისათვის საჭირო სტატისტიკურ სამუშაოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიენდოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—გაანაწილოს, ა/კსფსრ უწყებებთან ერთად, სამუშაოები და განსაზღვროს თვითეული სამუშაოს გადაცემის ვადა და წესი აღნუსხვისა და სტატისტიკის საუწყებო ორგანოების განმტკიცებისადაკვალად.

5. რადგანაც ყოველი სახის პირველადი აღნუსხვა უაღრესად მოუწესრიგებელია, საჭიროა გარდაიქმნას პირველადი აღნუსხვა სამეურნეო ხელმძღვანელობის ახალი ამოცანების შესაბამისად. აღნუსხვის სხვადასხვა სისტემების (საბუხჰალტრო, სასტატისტიკო, სატეხნიკო და სხვ.) შინაგანმა შეთანხმებულობამ უნდა უზრუნველჰყოს:

ა) მუყაითი კონტროლი თვისებითი მაჩვენებლების მიხედვით მიცემულ დავალებათა შესრულებისათვის (თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვისება და სხვ.);

ბ) მეთვალყურება შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმებისათვის (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, შემხეედრი სამრ.-საფინ. გეგმა);

გ) სამეურნეო-ანგარიშიანობის განხორციელება;

დ) ანგარიშგებისა და პირველადი აღნუსხვის გამარტივება.

6. ყველა უწყება მოვალეა დაუყოვნებლივ შეიმუშაოს მუშაობის გეგმა აღნუსხვის ერთიანი სისტემის შესაქმნელად სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის საჭიროებათა და თავისებურებათა შესაბამისად, აღნუსხვის არსებული სახეების (საბუხჰალტერო, სასტატისტიკო სატეხნიკო და სხვ.) გაერთიანების პრინციპზე.

აღნუსხვის ერთიანი სისტემის შესაქმნელად და მასთან მთელი პირველადი დოკუმენტაციის სისტემის შესაგუებლად საჭირო მუშაობას დაწესებულებები და ორგანიზაციები აწარმოებენ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხელმძღვანელობით.

7. საერთო-საკავშირო და ამიერკავკასიის შინაერთნი, ტრესტნი და საწარმონი მოვალენი არიან წარუდგინონ ამიერკავკასიის და რესპუბლიკანურ სათანადო ცენტრებს სტატისტიკური ანგარიშგების ასლები ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დადგენილ წესით და ვადაზე.

უწყებებს და ორგანიზაციებს ეკრძალებათ შემოიღონ სტატისტიკური ანგარიშგების ახალი ფორმები ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ნებადაუერთველად.

8. მიენდოს ა/კსფსრ შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს გადაიკეთონ რესპუბლიკებში აღნუსხვისა და სტატისტიკის სისტემა ამა დადგენილებისა და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის საინსტრუქციო დირექტივების შესაბამისად.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში შენარჩუნებულ უნდა იქნენ საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილნი. მათი ინსტრუქტირება საღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოების სფეროში განხორციელდება რესპუბლიკანური საგეგმო კომისიების მეშვეობით.

9. მიენდოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას შემოიტანოს, 20 დღის ვადაზე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში პროექტი ამა დადგენილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან გამომდინარე ცვლილებებისა, რაც შეტანილ უნდა იქნეს მომქმედ კანონმდებლობაში.

II. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—განიხილოს ერთი დეკადის ვადაზე საალნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოების ორგანიზაცია შტატის საკითხის მხრით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ივლისის 6.

№ 384

ტფილისი

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

162. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შესახებ.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1930 წ. მარტის 3-ს დამტკიცებული დებულება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-5 №-ი, 61) გაუქმებულ იქნეს.

3. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი დამტკიცებულ იქნეს შემდეგი შედგენილობით:

1) ამხ. ზ. ნ. ბენია (თავმჯდომარე),
2) „ კ. ა. სულაქველიძე (თავმჯდომარის მოადგილე),
3) „ მ. ნ. შალიმო,
4) „ კ. ა. მიხაილოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე ვ რ ე ბ ი:

5) ა. ს. ზორაბიანი,
6) გ. ი. ჩირიკაძე,
7) ს. ი. ბელოზეროვი,
8) ნ. კ. ნადეჟინი,
9) ი. ს. ხესინი,
10) ჰიდრო-მეტეოროლოგიური ინსტიტუტის დირექტორი,
11) ამხ. გიგინეიშვილი, ა/კსფსრ ამინდის ბიუროს გამგე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ივლისის 11.

№ 388.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შესახებ.

1. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებობს ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი შემდეგი შედგენილობით:

თავმჯდომარე და მისი 3 მოადგილე—თითო წარმომადგენელი რესპუბლიკანური ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტებისა, და რვა წევრი—თითო წარმომადგენელი შემდეგი დაინტერესებული უწყებებისა:

ა) სსრკ ის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან;

ბ) სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან;

გ) სსრ-ის წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან;

დ) ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის საცდელ-საკვლევი ინსტიტუტისა;

ე) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი;

ვ) სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის სამმართველოსი;

ზ) ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა;

თ) ამიერკავკასიის მეგამბეობის კომიტეტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის პერსონალურ შედგენილობას დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის წარდგენით.

2. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი აერთიანებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე არსებულ ყველა მეტეოროლოგიურ, ჰიდროლოგიურ, ჰიდრო-მეტეოროლოგიურ და გეომაგნიტურ სამსახურს და, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სამუშაოების შესრულებასთან ერთად, უზრუნველჰყოფს აგრეთვე თავდაცვისა, საზღვაო მოძრაობისა, ავიაციისა, ტრანსპორტისა, მრეწველობისა, მშენებლობისა და სხვ. საჭირო სამუშაოების აღსრულებას.

3. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს დაეკისრება—ხელმძღვანელობა გაუწიოს: ა) ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ ინსტიტუტს, ბ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჰიდრო-მეტეოროლოგიურ და გეოფიზიკურ დაწესებულებებს; გ) მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ ყველა მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ დაწესებულებას სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დირექტივების მიხედვით.

4. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს უფლება აქვს:

ა) მისცეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის ყველა დაწესებულებას, ჰიდრო-მეტეოროლოგიურ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს, სამმართველოებს, სადგურებს, საგუშაგოებს საჭირო დირექტივები, ინსტრუქციები და მინიშნებები, სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დირექტივებისა, ინსტრუქციებისა და მინიშნებების განსავითარებლად და შესაბამისად; დაამყაროს ა/კსფსრ-ში ყველა მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური დაწესებულებისათვის სავალდებულო მუშაობის მეთოდები;

ბ) მიანდოს ა/კსფსრ ყველა მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ დაწესებულებას ფედერატიული მნიშვნელობის სამეცნიერო-საკვლევო და ოპერატიული ხასიათის დავალებათა აღსრულება;

გ) შეამოწმოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაწესებულებების მიერ როგორც ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტისა, ისე სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დირექტივთა, დავალებათა, ინსტრუქციათა, მინიშნებათა და სხვა ამისთ. შესრულება;

დ) შემოიტანოს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეშვეობით, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად მოხსენებები, პროექტები და სახარჯთაღრიცხვო განზრახულებანი, რაც მიმართულ იქნება ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურისა და გამოკვლევის სათანადო განვითარებისათვის—ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობისა და დაცვის ყველა დარგში რაც შეიძლება მეტი მომსახურეობის გასაწევად;

ე) წარმოუდგინოს საჭირო შემთხვევაში, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეშვეობით, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინადადება, ამა დებულების მე-5 მუხლისა და სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების მე-6 მუხლის (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 26 №-რი, მუხ. 222) თანახმად, ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის ორგანოებისადმი მიმართული სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის ამა თუ იმ განკარგულების აღსრულების შეჩერების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) მოითხოვოს განსახილველად და შესათანხმებლად სამუშაოთა გეგმები და პროგრამები იმ ჰიდრო-მეტეოროლოგიური აპარატებისა, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებისა და სადგურების და საგუშაგოების ქსელისა, რომელნიც მომსახურეობას უწევენ უწყებათა და დაწესებულებათ და მათ საწარმოთა ვიწრო-სპეციალურ საჭიროებათ; მისცეს დასკვნები ვიწრო-სპეციალური ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური სამუშაოების გეგმებისა და პროგრამებისა და ამ სამუშაოების ხარჯაღრიცხვების შესახებ;

ზ) დაამტკიცოს ქვემდებარე მეტეოროლოგიური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გეგმები და ანგარიშები;

თ) აწარმოოს რესპუბლიკანური ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტებისა და ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის ქვემდებარე დაწესებულებების რევიზია და ინსპექცია; აგრეთვე გაუწიოს ინსპექტირება იმ აპარატებსა და ჰიდრო-მეტეოროლოგიურ დაწესებულებებს, რომელნიც შედიან უწყებათა, დაწესებულებათა და საწარმოთა შედგენილობაში მათი ვიწრო-სპეციალურ საჭიროებათათვის მომსახურეობის გასაწევად,—ა/კსფსრ ტერიტორიაზე მდებარე საერთო-საკავშირო მნიშვნელობის დაწესებულებათა გამოუკლებლად; უკანასკნელი მოქმედება შეთანხმებულ უნდა იქნეს სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტთან;

ი) შეიტანოს სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტში განსახილველად თავისი კომპენტენციის საკითხების გამო პროექტები და მოხსენებები, რაც საჭიროებს შეთანხმებას საერთო-საკავშირო მასშტაბით და აგრეთვე უშუალო ურთიერთი მიმართვა იქონიოს მასთან ყველა საკითხის გამო;

კ) მოიწვიოს არსებული წესისამებრ ყრილობები, თათბირები, კონფერენციები და აგრეთვე მოაწყოს მუდმივი და დროებითი კომისიები ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის მოქმედების შესახებ საკითხების გამო;

ლ) მოაწყოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სპეციალური ექსპედიციები.

5. სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის განკარგულება, რაც მიმართულია ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტისადმი, აგრეთვე სხვა რესპუბლიკანურ და ადგილობრივი მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური დაწესებულებებისადმი ა/კსფსრ ტერიტორიაზე, შეიძლება შეჩერებულ იქნეს ცალკეულ შემთხვევაში ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, რაც უნდა ეცნობოს სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის განკარგულება, რაც მიმართულია რესპუბლიკანური და ადგილობრივი მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური დაწესებულებებისადმი, შეიძლება შეჩერებულ იქნეს ცალკეულ შემთხვევაში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, რაც უნდა ეცნობოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

6. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის უშუალო გამგებლობაშია: სამეცნიერო-საკვლევო ჰიდრო-მეტეოროლოგიური ინსტიტუტი და ამინდის ბიურო, რომლებიც სამუშაო აპარატია როგორც სამეცნიერო საკვლევო მუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სფეროში, ისე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და დაცვისათვის პრაქტიკული მომსახურეობის გაწევის სფეროში—ჰიდრო-მეტეოროლოგიის მიმართებით.

7. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის მოწყობისადაკვალობაზე, მისი მოთხოვნით, ცალკეულ უწყებათა, დაწესებულებათა და სახელმწიფო საწარმოთა გამგებლობაში მყოფი ცენტრალური და რესპუბლიკანური მეტეოროლოგიური, ჰიდრო-მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური საადმინისტრაციო ორგანიები დაშლილ უნდა იქნენ და მათი სადგურები და საგუშაგოები, აგრეთვე ა/კსფსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება და ხამსახური, მის შედგენილობაში შემავალი და მასთან მყოფი გეომაგნიტური დაწესებულებები და მთელი გაწყობილობით, ქონებით და კრედიტებით, უნდა გადაეცეს სათანადო ჰიდრო-მეტეოლოგიურ კომიტეტს.

შენიშვნა. საერთო-საკავშირო უწყებისა და სამეურნეო ორგანოს იმ დაწესებულებისა, სადგურისა და საგუშაგოს გადაცემა, რაც ა/კსფსრ ტერიტორიაზეა, მოხდება სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოლოგიურ კომიტეტთან შეთანხმებით.

8. ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებას ეკრძალება მოაწყოს საერთო-მეტეოროლოგიური და საერთო-ჰიდროლოგიური სადგური და საგუშაგო და სხვა ამისთანა რამ, რაც ზემოაღნიშნული კომიტეტის გამგებლობაში არ არის.

უკეთუ შეუძლებელია მომსახურეობა გაეწიოს ამა თუ იმ დაწესებულებას ან უწყებას ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის აღსრულების წესით,—სათანადო უწყებას, სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს შეიძლება უფლება მიეცეს იქონიოს:

ა) სპეციალური დანიშნულების სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება და სადგური, რათა შესწავლილ იქნეს ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური ფაქტორების გავლენა სათანადო უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოს მოქმედების ობიექტებზე;

ბ) სადგური და საგუშაგო—უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოს ვიწრო-სპეციალურ საჭიროებათათვის მომსახურეობის გასაწევად;

გ) აპარატი—უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოს საჭიროებათათვის ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის მუშაობის შედეგის გამოსაყენებლად, აგრეთვე ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ დაწესებულებათა მოქმედებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად;

დ) სასწავლო ხასიათის სადგური.

აღნიშნული დაწესებულებებისა, აპარატებისა, სადგურებისა და საგუშაგოების შენარჩუნება ან დაარსება შეიძლება მხოლოდ ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტებთან შეთანხმებით.

9. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მყოფი ყველა დაწესებულება, რომელიც-კი სპეციალურ ჰიდროლოგიურ და ჰიდრო-მეტეოროლოგიურ დაკვირვებას აწარმოებს, მოვალეა დაუთმოს ა/კსფსრ ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსა-

ხურის ორგანოებს, მათი მოთხოვნისამებრ, სპეციალური დაკვირვებისა და გამოკვლევის შედეგი ერთიანი სამსახურის საჭიროებათათვის.

10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან მოეწყობიან ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომეტეტები ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის გამგებლობისა და ხელმძღვანელობისათვის.

შენიშვნა. რესპუბლიკანური ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტები, ამა დებულების საფუძველზე, თუ საჭირო იქნება, მოაწყობენ სათანადო ავტონომიური რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან და ავტონომიური ოლქების საადგილმამფლო ორგანოებთან ჰიდრო-მეტეოროლოგიურ ბიუროებს, რომლებშიაც აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ სამხედრო უწყების წარმომადგენლებმა.

ამ რესპუბლიკების ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომეტეტების შედგენილობას და ფუნქციებს განსაზღვრავენ აღნიშნული რესპუბლიკების მთავრობანი ამა დებულების შესაბამისად. რესპუბლიკანური ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის წევრებს დანიშნავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის წარდგენით.

11. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს აქვს დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვა.

ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის და მისი ქვემდებარე ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებისა და ჰიდრო-მეტეოროლოგიური სადგურების დაფინანსება გატარებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ბიუჯეტში.

ხარჯები, რაც საჭიროა: 1) სრულიად საკავშირო მნიშვნელობის მეტეოროლოგიური და ჰიდრო-მეტეოროლოგიური სადგურების შესანახად და 2) საერთო—საკავშირო მნიშვნელობის სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოებისა და სხვა დავალებების შესასრულებლად გაიღება საერთო-საკავშირო ბიუჯეტიდან სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების მე-13 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 28 №-ი, მუხ. 222).

12. უწყებათა, დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ, ამა დებულების მე-8 მუხლის თანახმად, თავიანთი ვიწრო-სპეციალურ დავალებებისათვის მოწყობილი სადგურები და დაწესებულებები დაფინანსებულ იქნებიან სათანადო უწყებისა და დაწესებულების ხარჯით და ხარჯთაღრიცხვით.

13. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს უფლება აქვს—თავისი სამეცნიერო საქმიანობისა და მისი ქვემდებარე დაწესებულებებისათვის მიიღოს, არსებული წესისამებრ, ბაჟის გადაუხდელად, საზღვარგარეთიდან მეტეოროლოგიური სადგურებისა და ლაბორატორიების გაწყობილობის საგნები და მასალა.

14. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს აქვს ბეჭედი ა/კსფსრ ღერბის გამოსახულებითა და თავიანი სახელწოდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

163. „რაიონებთან კავშირის განმტკიცების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მოადგილის ამხ. ჩიხლაძის მოხსენება და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ვარძიელის თანამოხსენება—რაიონებთან კავშირის განმტკიცების თაობაზე გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წ. თებერვლის 19-ის დადგენილებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წ. თებერვლის 19-ის დადგენილება და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილება, რომლებითაც ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს ხელმძღვანელობას დაკისრებული ჰქონდა უზრუნველეყო ა/წ. ივნისის 1-თვის რაიონების ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრებთან სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი და იმავე ვადისათვის გაემართა სატელეფონო კავშირი 40%-ის ოდენობით სასოფლო-საბჭოებსა და რაიონებს შორის, შესრულებული არ არის, და რომ ამ მხრივ ჩამორჩენა ნამეტნავად საბამბე რაიონებშია.

შესრულებული არ არის აგრეთვე დირექტივა რაიონების რადიოფიკაციის შესახებ. (გეგმა განხორციელებულია მხოლოდ 13%-ით).

2. ა/კსფსრ რაიონების კავშირგაბმულობის განვითარების ტემპები არ შეესაბამება ა/კსფსრ სოციალისტური მშენებლობის ტემპებს და შეუწყნარებლად ბრკოლდება იმის გამო, რომ სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი სისტემატიურად აყოვნებს საჭირო მასალების გაცემას, ხოლო ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველო არ ხმარობს გადამწყვეტ ღონისძიებას შინაგანი რესურსების მობილიზაციისათვის.

ამის შედეგია, რომ ამ ჟამად 18 რაიონს (აქედან 5 საბამბე რაიონს) არ აქვს კავშირგაბმულობა რესპუბლიკების ცენტრებთან, ხოლო სასოფლო საბჭოების 75%-ს არ აქვს კავშირგაბმულობა რაიონებთან (საბამბე რაიონებში—სასოფლო საბჭოების 82%-ს); ამასთანავე, წლიური გეგმის ფაქტიური შესრულება სასოფლო საბჭოების მიმართ 6,1% უდრის.

3. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა, რომელიც, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილების თანახმად, მოვალე იყო აღენუსხა ამ ჟამად არა თავის სპეციალობაზე მოსაქმე კავშირგაბმულობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილი მომუშავენი და მოეხდინა მათი მობილიზაცია ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოში სამუშაოდ, არ შეასრულა ეს დადგენილება, თუმცა კავშირგაბმულობის სამმართველომ წარუდგინა მას 93 ძველი კავშირგამბმელის სია.

4. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ უზრუნველყოფილი არ არის ადგილობრივ სახსართა მონაწილეობა რაიონების სამავთულო კავშირგაბმულობის დაფინანსებაში და საზამბე რაიონების სასოფლო საბჭოების რადიოფიკაციის განვითარება.

5. აღსრულების შემმოწმებელი კომისია განსაკუთრებით აღნიშნავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სუსტ მონაწილეობას კავშირგაბმულობის ადგილობრივ მშენებლობისათვის დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში, ნამეტნავად საზამბე რაიონებში (კავშირგაბმულობის აპარატის მომუშავებით გაძლიერება, ადგილობრივი მასალით დახმარების გაწევა, მასალის სამუშაო ადგილას მიზიდვა, სამშენებლო კოლონების მუშების სურსათით მომარაგება და სხ.); აღნიშნავს აგრეთვე, რომ, დახმარებისა და ხელმძღვანელობის ნაცვლად, ზოგიერთი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ხელს უშლიდა ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს მუშაობაში (გაგრა და სხვ.).

ამისდამიხედვით, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს—პერსონალურად ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის რწმუნებულის მოადგილეს ამხ. ჩიხლაძეს, უზრუნველჰყოს კავშირგაბმულობის სამუშაოთა გეგმის აღსრულება პირველ რიგში საზამბე რაიონებში და ამ რაიონების სასოფლო საბჭოებში, რისთვისაც უნდა იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი ადგილობრივი რესსურსების მაქსიმალურად გამოყენებისათვის კავშირგაბმულობის მეურნეობაში (ბოძები, ძველი მავთული, ძველი აპარატები და სხვ.).

2. დაევალოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, პერსონალურად ამხ. ფარჯანაძეს, აღასრულოს ივლისის 1-თვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ამ ჟამად არა თავის სპეციალობაზე მომუშავე ყოფილ კავშირგამბმელთა კავშირგაბმულობის სამმართველოში დაბრუნების შესახებ და 3 დღის ვადაზე წარმოუდგინოს აღსრულების შემმოწმებელ კომისიას დაწესებულებულებებისა და ორგანიზაციების იმ ხელმძღვანელთა პერსონალური სია, რომელთაც აქამდე არ წარავლინეს სათანადო პირნი კავშირგაბმულობის სამმართველოს განკარგულებაში.

3. მიენდოს ამხ. ჩიხლაძეს შეიმუშაოს ორი დეკადის ვადაზე სარაიონო ცენტრებსა და ა/კსფსრ ცენტრს—ქ. ტფილისს—შორის უშუალო კავშირგაბმულობის გაძლიერების გეგმა და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. დაევალოს ამხ. კურსელს აღასრულოს დირექტივა კავშირგაბმულობის სამუშაოზე მოსაქმე მუშების (1.500 კაცის) სურსათით მომარაგების შესახებ.

40

მომარაგების წესი დაამყაროს ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოსთან შეთანხმებით.

5. ეთხოვოს სსრ-კის სახალხო კომისართა საბჭოს—იხმაროს გადამწყვეტი საზედმოქმედო ღონისძიება სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიმართ, რათა მან შეასრულოს თავისი მოვალეობა—ცენტრალიზებული მასალით ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს გეგმიანი მომარაგებისათვის, უმთავრესად საბამბე რაიონების კავშირგაბმულობის უზრუნველსაყოფად.

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. ივლისის 22.
№ 18.
ტფილისი.

მთავლიტი 1768. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400.